ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N124

2016 წლის 22 აგვისტო

ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის

საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე

თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთი, დაბა ჩაქვში მეგენეიშვილის ქუჩა N19ა-ში ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ ,,ქეთევან მუშარბაძე"-ს კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.48.05.270) 0.22 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

EN

ქ. ბათუმი, დაბ ჩაქვში მდებარე
ქეტევან მუშარბაძე ობიექტი

სპეც.	ი. ჯიბლაძე	სიტუაციური გეგმა	სტადია: მ.პ.
		0.22კვ. ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა	სს ენერ ქ. ბათუმი ბ

Meters
02.55 10 15 20